

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

.....
ბათუმი

ქალაქი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №.....

ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹-ე მუხლის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოწონებულ (შეთანხმებულ) იქნას „ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული დოკუმენტაცია, დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, უზრუნველყოს კონკურსის ჩატარება ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე